საქართველოს მთავრობის

დადგენილება №293

2022 წლის 8 ივნისი

ქ. თბილისი

„მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/05/2019, 300310000.10.003.021272) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო, თუ ნებართვის გაცემის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიებში/ზონებში;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 11 ივნისიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**